ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 2634

„ 15„ ნოემბერი 2011 წ.

ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ბროსეს ქუჩასა და მარჯვენა სანაპიროს კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.15.04.005.013, 01.15.04.005.043), არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება) მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2011 წლის 9 ნოემბერის სხდომის №43 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ბროსეს ქუჩასა და მარჯვენა სანაპიროს კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.15.04.005.013, 01.15.04.005.043) არსებული შენობის სარეკონსტრუქციოდ (მიშენება-დაშენება) განაშენიანების კოეფიციენტისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ1=1,0, კ2=5,1.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), განკარგულების ვადაში.

გიორგი უგულავა